საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 4550/01
06/05/2021

4550-01-2-202105061730

შპს „ნეოგაზს“
მის: ქ. თბილისი, გაზაფხულის ქ. N18
ელ. ფოსტა: info@neogas.ge

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 20 აპრილის N6997 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ნავთობპროდუქტების საცავების მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები, კერძოდ:

- სკრინინგის განცხადების თანახმად, გაზგასამართი სადგურის ფუნქციონირებისთვის შპს ,,ნეოგაზს“ უკვე მომზადებული და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან 2019 წელს შეთანხმებული აქვს კანონით დადგენილი ჰაერდაცვითი დოკუმენტაცია. თუმცა განცხადებაში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია თუ რომელი წლიდან ფუნქციონირებს არსებული გაზგასამართი სადგური, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში (გვ 23) აღნიშნულია, რომ ,,მიღებული ანალიზის შედეგებით ობიექტიდან წლის განმავლობაში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობა უმნიშვნელოა და კანონით დადგენილ ნორმებზე გადაჭარბებას არ გამოიწვევს. ამასთან, დასახლებულ პუნქტთან მიმართებაში, მოსახლეობის 1000 მეტრიანი დაშორების გათვალისწინებით ობიექტის ფუნქციონირებით გამოწვეული ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის”. ამასთან სკრინინგის განცხადების თანახმად, (გვ 4), საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 70 მეტრით. საპროექტო ტერიტორიის ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 33 მეტრით (ს/კ: 01.18.05.003.028) შესაბამისად ზემოაღნიშნული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას;

- სკრინინგის განცხადების თანახმად (გვ 4), საპროექტო ტერიტორიიდან მდ. მტკვარი დაშორებულია 230 მეტრით. ტერიტორიის ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან მდ. მტკვარი დაშორებულია დაახლოებით 193 მეტრით. შესაბამისად აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის დაგეგმილი ნავთობპროდუქტების საცავების მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე მოსალოდნელი ხმაურის ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, სანიაღვრე წყლების გაწმენდისათვის დაგეგმილია სალექარის მოწყობა. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის სალექარის ტიპის და პარამეტრების შესახებ ინფორმაცია, რაც საჭიროებს დაზუსტებას;

სამინისტრო, სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით, დაზუსტებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე